| 5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის   | <p>ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დადგენილი მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;</p> <p>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დადგენილი მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევებისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაეშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;</p> <p>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების ადების საშუალება;</p> <p>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საწინააღმდეგო უფლებამოსილი პირი;</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ქის და ქაბურღილის თავისართულების მოწყობის გეგმა, ხოლო თვითმდენი ქაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაცვატაქება;</p> <p>ზ) უნდა განხორციელდეს ორივე ქაბურღილის შემოღობვა და ადიკვითოს წყლის უშიშროდ დაღვრა;</p> <p>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაყვამის შესახებ შესაბამისი ზრდადების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ზუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერჯეტიკისა და ზუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ზუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p> |
| 6 სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი   | ქ. ყვარლის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამწერარყო დანიშნულებით, კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ორივე ქაბურღილზე ერთად) - 200 მ <sup>3</sup> /დღე-ღამეში, I ქაბურღილზე 100 მ <sup>3</sup> /დღე-ღამეში და II ქაბურღილზე 100 მ <sup>3</sup> /დღე-ღამეში).  |
| 7 სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა  | ქ. ყვარლის მიმდებარე ტერიტორია  |
| 8 აუქციონის საწყისი ფასი   | 2 359 ლარი  |
| 9 ზიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)  | 235,9 ლარი  |
| 10 უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლაველი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად | 672 ლარი  |
| 11 რეგისტრაციის დაწვევის და დასრულების დრო და თარიღი   | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 26 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 26 აპრილს დღის 18.00 საათზე  |
| 12 აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი  | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 26 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 26 აპრილს დღის 18.00 საათზე   |
| 13 სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა   | 25 წელი   |

|   |   |   |
|---|---|---|
|   | ვადა  | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| <b>ობიექტი № 20</b>   |   |   |
| ზუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება                           | საქართველოს ენერჯეტიკისა და ზუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ. ზუნებრივი რესურსების სააგენტო   |   |
| 1 საიდენტიფიკაციო ნომერი  | 204 578 581   |   |
| 2 მისამართი/ტელეფონი  | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48  |   |
| 3 ელ-ფოსტა  | Licenziები@anr.ge   |   |
| 4 სარგებლობის ლიცენზიის სახე  | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია   |   |
| 5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის                        | <p>ა) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის საფარი უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტურაციის მიზნით.</p> <p>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიესტრუქტურული ნიშნულიდან დაბლის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაყვამის შესახებ შესაბამისი ზრდადების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ზუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერჯეტიკისა და ზუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p> |   |
| 6 სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი  | ზოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცურტაგის მიმდებარე ტერიტორია, „ცურტაგის“ ზაზადტის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 120 000 მ <sup>3</sup> ).  |   |
| 7 სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა   | ზოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცურტაგის მიმდებარე ტერიტორია  |   |
| 8 აუქციონის საწყისი ფასი  | 10 000 ლარი   |   |
| 9 ზიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)   | 1 000 ლარი  |   |
| 10 უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლაველი | 2 200 ლარი  |   |
| 11 აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწვევის და დასრულების დრო და თარიღი           | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 26 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 26 აპრილს დღის 18.00 საათზე  |   |
| 12 აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი   | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 26 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 26 აპრილს დღის 18.00 საათზე   |   |
| 13 სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა  | 20 წელი   |   |
| 14 სხვა მონაცემები  | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში   |   |
| <b>ობიექტი № 21</b>   |   |   |
| ზუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება                           | საქართველოს ენერჯეტიკისა და ზუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ. ზუნებრივი რესურსების სააგენტო   |   |
| 1 საიდენტიფიკაციო ნომერი  | 204 578 581   |   |
| 2 მისამართი/ტელეფონი  | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48  |   |
| 3 ელ-ფოსტა  | Licenziები@anr.ge   |   |
| 4 სარგებლობის ლიცენზიის სახე  | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია   |   |
| 5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის                        | <p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში არ მოხდეს გაზსადენზე მძიმე ტექნიკის მოძრაობა.</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაყვამის შესახებ შესაბამისი ზრდადების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ზუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერჯეტიკისა და ზუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>  |   |
| 6 სარგებლობის   | ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. გველითის მიმდებარე  |   |



Table with 2 columns: Lot description and details. Includes items 7-14 and summary row 22. Lot 7: სალიცენზია ობიექტის ადგილმდებარეობა. Lot 8: აუქციონის საწყისი ფასი. Lot 9: ზიჯის სიდიდე. Lot 10: უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი. Lot 11: აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 26 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 26 აპრილს დღის 18.00 საათზე. Lot 12: აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი. Lot 13: სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა. Lot 14: სხვა მონაცემები.

Table with 2 columns: Lot description and details. Includes items 6-14. Lot 6: სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი. Lot 7: სალიცენზია ობიექტის ადგილმდებარეობა. Lot 8: აუქციონის საწყისი ფასი. Lot 9: ზიჯის სიდიდე. Lot 10: უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი. Lot 11: აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 26 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 26 აპრილს დღის 18.00 საათზე. Lot 12: აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი. Lot 13: სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა. Lot 14: სხვა მონაცემები.

# საქართველოს ენერჯეტიკისა და გუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - გუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საქართველოს ენერჯეტიკისა და გუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი გუნებრივი რესურსების სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

Table with 2 columns: Lot description and details. Includes items 1-5. Item 1: სალიცენზიაციო ნომერი. Item 2: მისამართი/ტელეფონი. Item 3: ელ-ფოსტა. Item 4: სარგებლობის ლიცენზიის სახე. Item 5: სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტის სარგებლობისათვის.

Table with 2 columns: Lot description and details. Includes items 6-14. Item 6: სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა. Item 7: აუქციონის საწყისი ფასი. Item 8: ზიჯის სიდიდე. Item 9: უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი. Item 10: აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 26 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 26 აპრილს დღის 18.00 საათზე. Item 11: აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი. Item 12: სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა. Item 13: სხვა მონაცემები.



ჭილაოვა

უპილესო ეპროპული ნადავლი



ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი - ასეთია ქართველი ფალანგთა მონაგარი თბილისის სპორტის სასახლეში, სადაც თავისუფალ და ბერძულ-რომაულ ჭიდაობაში ვეროპის ჩემპიონატი გაიმართა. სულ შეჯიბრებაში კონტინენტის 47 ქვეყნის 500-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

თავისუფალ ჭიდაობაში გიორგი ედიშერაშვილის ეული ოქროს ვეროპის ჩემპიონმა და ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა დავით მარსაგიშვილმა (84 კგ) დაანჯივლა. იგი შეჯიბრებაში მე-2 წრიდან ჩაება, აქ იოლად სძლია ავსტრიელ პეტერსს - 7:0, 7:0, საამისოდ კი სულ წუთნახევარი დასჭირდა. შემდეგ მის გზას გაუყენა რუმინელი ანდრეი ვიქტორ ფრანტი (1:0, 7:0).

ნახევარფინალში ჩვენებური რუსეთის ნაკრების ტიტულოვანი მოჭიდავეს - ორგზის ვეროპის ჩემპიონ ანზორ ურიშევს დაუპირისპირდა. ორი წლის წინათ მათ შორის კონტინენტის ფინალური პაექრობა რუსეთელმა მოიგო, ამჯერად ქართველმა ფალანგმა რევანში აიღო - 1:0, 4:2. გადამწყვეტ პაექრობაში მარსაგიშვილს სომხეთის სახელით მოასპარეზე მუსა მურთაზალიევის დამარცხება არ გასჭირვებია. გუნდურში ჩვენმა „თავისუფლებმა“ რუსების შემდეგ მე-2 ადგილი დაიკავეს.

გასულ უქმეებზე სპორტის სასახლის ხალხმა „კლასიკოსებს“ და-

ეთმო. მასპინძლებს რამდენიმე ფალანგი ეიმედებოდათ, მაგრამ ზოგიერთმა იმედები ვერ გაამართლა, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ვერცხლისა და ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა მანუჩარ ცხადაიამ (66), ვეროპის ჩემპიონმა და 2012 წლის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა რევანლაშმა (60). სამაგიეროდ, კვარცხლბეკზე ავიდნენ ზურაბ დათუნაშვილი (74), ვლადიმერ გეგეშიძე (84) და გურამ ფერსელიძე (120).

დათუნაშვილმა ზედიზედ, ძალეზის დაუძაბავად მოუგო უნგრელ ბალინტ კორპასინსა და ხორვატ ბოსო სტარკევიჩს. ნახევარფინალში აზერბაიჯანელი ვეროპის ჩემპიონის - რაფიკ ჰუსეინოვის მძლე-



ნახევარფინალი 2012 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ, მსოფლიოს და ვეროპის ჩემპიონ რიზა კაილბაიანი (თურქეთი) დაიძლია. ამ უკანასკნელმა ყველა მეტოქე დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ფერსელიძემ კი მესამე ადგილისთვის პაექრობაში ბელარუსის სახელით მოასპარეზე იოსებ ჩუგოშვილს აჯობა. გუნდურში ბეგი დარჩიას შეგირდებმა III ადგილი დაიკავეს.

ლაზა დიდა

რაზი

„ჯიქება“ „ლელოს“ ლიდერობა დააკარგვინა

საბრტყილს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მე-16 ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ერთობიროვნული ლიდერის „ლელოს“ მატჩი „ჯიქებთან“, რომელიც გათამაშების ცხრილის მე-4 საფეხურზე დასამკვიდრებლად იბრძვის. დებიუტანტებმა მეტოქეს დაქომაგება სიურპრიზი შესთავაზეს - თავგამოდებული პაექრობით დაამარცხეს და წამყვანი პოზიცია დააკარგვინეს.

ანგარიში „ჯიქებმა“ გახსნეს და მე-13 წუთისთვის 10:0-ს იგებდნენ. შესაძლოა, სხვაობა უფრო მეტიც ყოფილიყო, ახალბედებს ყველა საჯარიმო დარტყმა ზუსტად რომ შესრულებინათ. ტაიმის მიწურულს ლეოელებმა ლელო გაი-

ტანეს და ყიასაშვილმა გარდასახვაც უნაკლოდ შეასრულა - 7:10. შესვენების შემდეგ მატჩი უფრო დაძაბული გახდა. ახალბედნიელმა არბიტრმა რიჩარდ კელიმ ხუთი მორაგბე გაასინბინა. საფინალო სასტვენამდე „ჯიქებმა“ ორი, ლეოელებმა კი ერთი ჯარიმა გაიტანეს. საბოლოოდ გაიმარჯვეს დებიუტანტებმა - 16:10.

ქუთაისში „აიას“ და რუსთავის „ხარების“ მატჩი კოკისპირული წვიმისა და ძლიერი ქარის თანხლებით წარიმართა. ატალახებული მოედანი მეტოქეებს საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის საშუალებას არ აძლევდა.

შესვენებამდე მასპინძლებმა იძალეს, არადა, მათ სხვადასხვა მიზეზით 9 წამყვანი მოთამაშე აკლდათ. 19:0 - ასეთი ანგარიშით დასრულდა პირველი ტაიმი. მეორეში „ხარებმა“ მხოლოდ ერთი ლელოს გაიტანა

მოახერხეს. ეს იყო და ეს. მატჩი მოიგეს (19:5) რიონისპირელებმა და გათამაშების ცხრილში მე-3 ადგილი დაიბევეს.

დანარჩენი სამი მატჩი ასე დასრულდა: „არმია“ - „აკადემია“ 54:20, „არმაზი“ - „ლოკომოტივი“ 16:18, „ბათუმი“ - „ყოჩები“ 46:7. სატურნირო მდგომარეობა: „არმია“ - 65 (+183), „ლელო“ - 62 (+220), „აია“ - 54 (+188), „ჯიქები“ - 44 (+67), „არმაზი“ - 43 (+28), „ლოკომოტივი“ - 34 (+2), „ბათუმი“ - 29 (-24), „ხარები“ - 21 (-138), „აკადემია“ - 18 (-274), „ყოჩები“ - 7 (-242).

ლელოს ცინცაპი



ინტერნეტიდან

ეპოქის დასასრული

სპორტულმა სამყარომ 61 წლის ლეგენდარული მძლეოსანი პიეტრო მენეა დაკარგა.

იტალიელმა სპრინტერმა შთამბეჭდავი კარიერის განმავლობაში უამრავი პრიზი მოიპოვა, თუმცა განსაკუთრებული პოპულარობა მოსკოვის ოლიმ-

პიადაზე 200 მეტრზე სირბილში გამარჯვებამ და ამავე დისტანციაზე მოგვიანებით დამყარებულმა მსოფლიო რეკორდმა მოუხვეჭა, რომელმაც 17 წელი გაძლო.

ბიორგი შოთაძე

ფეხბურთი

თურქი უბეკლეზია

ბრის შეხვედრები, როცა ბრისხანე მეტოქესთან უთანასწოროდ მიჩნეულ ბრძოლას გასანდვლშივე, სარბიელზე გასვლამდე აგებ.

სიმართლე გითხრათ, ასეთივე წინათგონობით ველოდით საქართველოს ეროვნულ ნაკრების პირველ წლებშივე შესარჩევ მატჩს, რადგან გარდა ძალითა ობიექტური შეფასებისა, გასათვალისწინებელი იყო საკადრო ფაქტორიც. კერძოდ, სრულფასოვან შემსრულებელთა ქრონიკული დეფიციტის პირობებში სტუმრებს დისკვალიფიცირებული გუნდის კაპიტანი ჯაბა კანგავა და წამყვან მოიერი-

დღეს ითამაშებენ: მალტა - იტალია, სომხეთი - ჩეხეთი, დანია - ბულგარეთი.

„ბ“ ჯგუფი. ყაზახეთი - გერმანია 0:3, შვედეთი - ირლანდია 0:0, ავსტრია - ფარერები 6:0.

გერმანია - 13, შვედეთი - 8, ავსტრია, ირლანდია - 7-7, ყაზახეთი - 1, ფარერები - 0 ქულა.

დღეს ითამაშებენ: გერმანია - ყაზახეთი, ირლანდია - ავსტრია.

„დ“ ჯგუფი. ანდორა - თურქეთი 0:2, უნგრეთი - რუმინეთი 2:2, ჰოლანდია - ესტონეთი 3:0.

ჰოლანდია - 15, უნგრეთი, რუმინეთი - 10-10, თურქეთი - 6, ესტონეთი - 3, ანდორა - 0 ქულა.



შედ ჩამოყალიბებული თორნიკე ოქრიაშვილი აკლდათ მასინ, როცა ფავორიტი ფრანგები უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდნენ.

საფრანგეთი - საქართველო 3:1 (1:0)

გოლები: ჟირუ, ვალბუენა, რიბერი; კობახიძე.

ვიმორები: „ჯავროსანთა“ თავკაცს მაღლობა ეკუთვნის შვირდთა საკადროსად „დაქოქვისთვის“, თუმცა ერთი კარგი ფსიქოლოგი თვით თემურ ქეცბაიას „გასახედნადაა“ მოსაძებნი.

დიახ, რისი უფლებაც მან მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მისცა საკუთარ თავს, მხოლოდ შესაბამისი პროფესიის სპეციალისტის დასაქმებისკენ გვიბიძგებს, რამეთუ „ქეცბამ“, უკვე მერამდენედ, ყოველგვარი ეტიკეტის დარღვევით, უარყოფითი შედეგით მოგვრილი ბოლბო თანამემამეთლე ურნალისტზე ამოანთხია.

ამ შემთხვევაში რა მნიშვნელობა აქვს დასმული კითხვის სიმწვავეს ან შინაარსს - მთავარია, რომ უკვე საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელი მასმედიის წარმომადგენლებს დაბალ ლობედ მიიჩვენს. საინტერესოა, გაბედავდა თუ არა ამდენს ბატონი თემური, კითხვის ავტორი თუნდაც ფრანგი კალმოსანი რომ ყოფილიყო?

გაუნწყობ „მუნდიალ-2014“-ის წლებში სეზონის რაუნდის სრულ შედეგებს:

მერობა „ა“ ჯგუფი. მაკედონია - ბელგია 0:2, სორვატეთი - სერბეთი 2:0, შოტლანდია - უელსი 1:2.

ბელგია, სორვატეთი - 13-13, უელსი - 6, სერბეთი, მაკედონია - 4-4, შოტლანდია - 2 ქულა.

დღეს ითამაშებენ: ბელგია - მაკედონია, უელსი - სორვატეთი, სერბეთი - შოტლანდია.

„ბ“ ჯგუფი. ბულგარეთი - მალტა 6:0, ჩეხეთი - დანია 0:3.

იტალია - 10, ბულგარეთი - 9, დანია, ჩეხეთი - 5-5, სომხეთი - 3, მალტა - 0 ქულა.

0:0, ნორვეგია - ალბანეთი 0:1.

შვეიცარია - 11, ალბანეთი, ისლანდია 9-9, ნორვეგია - 7, კვიპროსი - 4, სლოვენია - 3 ქულა.

„ვ“ ჯგუფი. ისრაელი - პორტუგალია 3:3, ლუქსემბურგი - აზერბაიჯანი 0:0. გადაიდო ჩრდილოეთ ირლანდია - რუსეთი.

რუსეთი - 12, ისრაელი, პორტუგალია - 8-8, ჩრდილოეთ ირლანდია, აზერბაიჯანი - 3-3, ლუქსემბურგი - 2 ქულა.

დღეს ითამაშებენ: აზერბაიჯანი - პორტუგალია, ჩრდილოეთ ირლანდია - ისრაელი.

„ზ“ ჯგუფი. საფრანგეთი - საქართველო 3:1, ესპანეთი - ფინეთი 1:1.

საფრანგეთი - 10, ესპანეთი - 8, საქართველო - 4, ბელარუსი - 3, ფინეთი - 2 ქულა.

დღეს ითამაშებენ: საფრანგეთი - ესპანეთი.

„თ“ ჯგუფი. ბოსნია - საბერძნეთი 3:1, სლოვაკეთი - ლიტვა 1:1, ლიხტენშტეინი - ლატვია 1:1.

ბოსნია - 13, საბერძნეთი - 10, სლოვაკეთი - 8, ლიტვა - 5, ლატვია - 4, ლიხტენშტეინი - 1 ქულა.



„ი“ ჯგუფი. სან-მარინო - ინგლისი 0:8, პოლონეთი - უკრაინა 1:3, მოლდოვა - მონტენეგრო 0:1.

მონტენეგრო - 13, ინგლისი - 11, უკრაინა, პოლონეთი - 5-5, მოლდოვა - 4, სან-მარინო - 0 ქულა.

დღეს ითამაშებენ: მონტენეგრო - ინგლისი, უკრაინა - მოლდოვა, პოლონეთი - სან-მარინო.

სამხრეთი ამერიკა X ტური. არგენტინა - ვენესუელა 3:0, ურუგვაი - პარაგვაი 1:1, პერუ - ჩილე 1:0, კოლუმბია - ბოლივია 5:0. ისვენება ეკვადორი.

არგენტინა - 23, კოლუმბია - 19, ეკვადორი - 17, ურუგვაი - 13, ვენესუელა, ჩილე - 12-12, პერუ - 11, ბოლივია, პარაგვაი - 8-8 ქულა.

დღეს ითამაშებენ: ბოლივია - არგენტინა, ეკვადორი - პარაგვაი, ჩილე - ურუგვაი, ვენესუელა - კოლუმბია. ისვენებს პერუ.

გია პლატონიშვილი



შახათ-ჰირის ჩანაწერი

შესვედრა „კეთილი განზრახვის ავანტიურისტთან“

აი, მიხეილ ქვლივიძის დროც დამდგარა – გამოცემულა „ინტელექტის“ მიერ წამოწყებულ „100 ლექსის“ სერიაში, აბა, სხვაგვარად, ვით იქნებოდა. მიხეილ ქვლივიძის განსაკუთრებული ბიოგრაფია, მამულიშვილობა და პოეზია, დიხასაც, იმსახურებდა ასი რჩეული ლექსის გამოცემას და, რა თქმა უნდა, „ინტელექტს“, კახმეგ კულავას ხელმძღვანელობით, ეს არ შეშლია – მართლაც გამოვიდა მიხეილ ქვლივიძის „100 ლექსი“, მათგან რამდენიმე ჩვენმა გაზეთმა გასული შაბათის ნომერში ერთხელაც გაახსენა პოეტის ნიჭისა და ოსტატობის თაყვანისმცემელთ, ხოლო მე, მის უმცროს მეგობარს, თვალწინ დამიყენა მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი, რომელიც ქართული ლიტერატურით, ხელოვნებით სულდგმულობდა და არც ჭიქა ღვინით სადღეგრძელო ემღებოდა ახლომდებარე ადამიანებთან, თუნდაც წლოვანებით მასზე უმცროსებთან. მამ, მთავარი იყო გავგება!..

ორმოცი წლის წინათ, თავისი „რჩეულის“ გამოსვლის გამო გავიყვანი. იგი, შეიძლება ითქვას, ახალი გადმოსული იყო რუსეთიდან მშობლიურ თბილისში და ნაღველით, სევდით, შიგადაშიგ, ხასხასა იუმორით მიყვებოდა თავისი წარსულის ამგვარ ელმბაქიდის დაღმართზე, იაფფასიან რესტორან „ყაზბეგში“.

სკოლა რომ დავამთავრე, სწორედ იმ დღეს დაიწყო სამამულო ომი. სურათებს ვიღებდით კლასელები და ფოტოგრაფმა გვითხრა ეს ამბავი. ბიჭების უმრავლესობა ფრონტზე წავიდა და მე ვიყავი ადარ დაბრუნებული. მე თქვესმეტის ვიყავი, არ გამოიწვიეს და თბილისის უნივერსიტეტში შევედი ფილოსოფიის ფაკულტეტზე – კოტე ბაქრაძე, მოსე გოგობერიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო მერძენიშვილი, შალვა ნუცუბიძე მიკითხავდნენ ლექციებს. მეორე კურსიდან უკვე მობილიზაცია გავიკეთეს. მაშინ ერთი მოლუელი ტიპი ვიყავი და ფრონტის მაგივრად, შრომით რეზერვებში გამგზავნეს – საავიაციო ქარხანაში ზეინკლად დაიწყე მუშაობა... მერე, რატომღაც უნივერსიტეტს აღარ დავეუბრუნდი, და სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე გრაფიკის ფაკულტეტზე. კარგ სტუდენტად ვითვლებოდი და ასპირანტურაში დამტოვეს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის განხრით. დისერტაციაც დავწერე. – „ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორია“, ორჯერ წიგნად გამოვიდა ეს ნაშრომი და, სხვათა შორის, იგი ჯერჯერობით ერთადერთი წიგნია ამ საკითხზე, მერე დისერტაცია აღარ დამიყვანა... რა ვიცი... იმ დროს უკვე ლექსებს ვწერდი, 1952 წელს პირველი წიგნის გამოვიდა, ამიტომ დისერტაცია გვერდზე დამჩნა, მოკლედ, ორი საქმე არასოდეს მივეთვებია, პოეზიისთვის მინდოდა მიმეძღვნა ყველაფერი და, ავი, ასეც გამოვიდა.

სხვაგვარად ნუ გამოგვთქვამ, მე მიმარჩნია, რომ პოეზიაში პროფესიონალი ვარ, მხატვრობაში, მოყვარული.

მოსკოვში ახალგაზრდა კაცი წავიდა მიხეილ ქვლივიძე, სხელი და პატევი არ აკლდა საზჭოეთის დედაქალაქში, კაცთმოყვარესა და გულითადს, განს ეხვებენ მეგობრები, მაგრამ მშობლიური კერის სითბო მაინც ყოველთვის ენატრებოდა:

მიწას სამშობლო ჰქვია, თუ მისთვის ვიყვამ გული... თვალისჩინივით უვლი და მიგაჩნია წმინდად,

მაგრამ ყველაზე მეტად ეს მიწა მაშინ გიღრს, როცა გიჟივით ჰყვინი: – შინ დაბრუნება მინდა! – ძნელი იყო, რა თქმა უნდა, აქ მყავდა დედა, მამა, ახლობლები... წაუსვლელობაც, ეტყობა, არ გამოდიოდა, ექვსი სული ვცხოვრობდით ორ პატარა ოთახში, თან ცოლი მევირთე... ომი ახალი დამთავრებული იყო, ჭინდა ბინები... მერე რამდენჯერმე ვცადე გადმოსვლა, დედა რომ მომიკვდა, მაინც სულ ველარ ვჩერდებოდი... რაღაც განსაკუთრებულად მიყვარდა დედაჩემი...



ხანსულ ჩარკვიანი, მიხეილ ქვლივიძე, ჯაბა ამირხანიძე.

...ამ წასვლა-წამოსვლაში, პოეტს ახალი ლექსებიც ჩამოჰქონდა, მკითხველს მოკრძალებით სთავაზობდა, თბილისის საკონცერტო დარბაზებშიც ხშირად გამოდიოდა და შესანიშნავად კითხულობდა საკუთარ ლექსებს. შეიყვარეს და აღიარეს მიხეილ ქვლივიძის ნატიფი ლირიკა, რომელიც ქართული კლასიკური ლექსის ტრადიციებს აგრძელებდა. მათში, თითქოსდა, უბრალოდ, „ადვილად“ გამჭვირვალედ არის ამოთქმული ყოველი ფრაზა და ასე სისადავით მიღწეულია ღრმა პოეტური აზროვნება:

მე ვწერ უბრალო, გაცვეთილ სიტყვებს, – (მათ ვანაცვალე ჩემი ლექსები!) მე ამ სიტყვებში ჩემს ნათელ სიმღეს, ჩემ ტკბილ მავშვობას ვეაღწერს. განა არ მესმის სახლის ყადრი? (სახელისათვის მეც მითმია!) და მაინც ძველი „ღარღი“ და „გარღი“ ყველაზე კარგი რიმა მგონია.

თავის შესანიშნავ ლექსებს ქართულისა და რუსულის უბადო ცოდნის წყალობით, არაჩვეულებრივ თარგმანებსაც უმატებდა მიხეილ ქვლივიძე. აბა, წარმოიდგინეთ, რა სპექტაკლები დააკლდებოდა ქართულ თეატრს, რომ არ გვექონოდა მის მიერ თარგმნილი პიესები: ედმონდ როსტანის „სირანო დე ბერუენაკი“, იმრე პიტოის „მანკ მანი“, ევგენი შვარცის „ჩრდილი“, ევგენი კოროსტილიოვის „ასი წლის შემდეგ“, „ფიროს-მანი“, ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“.

და მაინც, „100 ლექსი“... აქ პოეტის მეუღლეს ქალბატონ მედეა შალაშვილიძეს შეუტანია თითქმის ყველა საუკეთესო ნაწარმოები საყვარელი მეუღლისა (წავიტრებახებ: ამათგან ერთი ათიოდე მაინც ვიცი ზეპირად). გამოჩნეულია ამ კრებულში „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“, – ქართული პოეზიის მოყვარულთა ერთ-ერთი უსაყვარლესი ლექსი, რომელიც მიხეილ ქვლი-

ვიძემ ლეგენდარული მსახიობის გიორგი შავგულიძის ხსოვნას მიუძღვნა. საერთოდ, ძალზე სევდიანია, ნაღველიანია ეს კრებული. მიხეილ ქვლივიძის ცხოვრება ვერაფერად, რაც ლექსად გადმოსცა კიდევ პოეტმა. ეს არის დედის, მამის გარდაცვალება, სამშობლოს, თბილისის მონატრება, ძმის დაღუპვა სამამულო ომში თუ მრავალი ჭირთათმენა...

...გიორგი შავგულიძის დარად, მე ვიცი გამოჩნეული კაცის დარად, ისიც დააკლდა ქალაქს, თუმცა, დარჩა პოეტად, რომლის მეორე ლექსს შთამომავლობა, პოეზიის მოყვარული ქართველი, ჭინდა და ლხინში გაიხსენებს, ხოლო დამსახურებულ პატივს მიაგებს ავტორს, რომელიც თავის ავტოპორტრეტს ასე გვიხატავს:

განამულ თვალეებში ფოცხვერის სიფიციხე, ცხრა სიტყვის დათმობა ერთ საქმის გულისთვის... მცნობდეთ: პოეტი მიხეილ ქვლივიძე – „კეთილი განზრახვის ავანტიურისტი“ ვიცნობდი და ვამაყობდი მისით.

ბაღში, კვირა დილით...

მსხედვართ ბაღში, ვსაუბრობთ უზნელები და შემოქაქანდა ბონდო: – წუხელ სინთლე იყო თქვენთან?!

გადავუქნიე თავი. – ვამაგებინეთ ერთი, ვინ არიან ესენი, ძმაო, – განაგრძო ქაქანი, – გუშინწინ ვაითიმა დენი, წუხელ ვაითიმა!.. რამია საქმე?! მიშას დროს, იმას მაინც მოვესწარით, დენი არ ითიშებოდა. მოკლედ, არ ვიცი, არ ვიცი!.. არადა, როგორ ჭირვეულობს მართი, ჩვენ ელექტროგამათბობელი გვაქვს ჩართული და დენის იმედით ვართ... გაყინულია სახლი, ბავშვები მყავს ძმაო!.. მაგათ რო ვგონათ, ვგრე არ არის სახელმწიფო მართვა!

– სააკაშვილი ხო მართავდა, ოსტატურად! – წამოენთო მამა, – ვაი, მაგის პატრონს... ნახეთ, რეგვი იმუტურა სანაის გადაცემაში? მეო, აქ უკვე „დარაჯი“ ვართ... პრეზიდენტის რეზიდენციაში... ის იგულისხმა, რა თქმა უნდა, როგორ ჩამოართვეს „მამულები“ – გულენებით დაწყებული, დაცვითა და მანქანებით დამთავრებული... მთელი გადაცემის მანძილზე ურცხვად იმართლებდა თავს ურნალისტის კითხვის პასუხად, ვითომდა, ხალხი, მსმენელი დაიჭერებდა მის აზრებს... გააბათილა, თავისი ჭკუით, 26 მაისის ტრაგიკული ამბები, 7 ნოემბრის მოვლენები, გომნესმენტა პრეტენზიები, უფანიას მკვლელობა... სულ სხვებს „შეაწერა“ თავისი ცოდვები და ისიც გავავაგონა, რომ ოქტომბრის შემდეგ არსად წასვლას არ აპირებს პოლიტიკიდან.

ამას, ყველაფერს უზარმაზარ კაბინეტში, ილია ჭავჭავაძის სურათის ქვეშ მზარხუნობდა რეზიდენციაში „დარაჯი“, რომელსაც აგერ, სულ ცოტა ხნის წინათ, სწორედ ილიასა და დავით აღმაშენებლის საქმეების გამგრძელმელად მოჰქონდა თავი და ახლა „დარაჯად“ ჩამოქვეითებულა. რა ეშველება, ფული ხომ არ შევეგროვოთ?! აცალე ამ ხელისუფლებას, ჩემო ბონდო, აცალე, ზოგი იმასაც ამბობს, საბოტაჟია ეს ყველაფერიო!..

– რა ვაცალოთ, კაცო! ნახეთ, რა ამბავია ატეხილი?! საქართველოში უკვე ბავშვები იხოცებიან შიმშილით, საშინელება მოხდა ბათუმში, დროა უკვე, მიხედონ სოციალურ ამბებს!..

– კარგით, კარგით ხალხო! – ოთარი ცდილობს დაამშვიდოს მოკამათენი, – ორი დღეა, ეს ბუნებაც ნამეტანი გავვიწყრა, მოისმინეთ ბათუმში რამხელა შტორმი იყო?... ვოჩი კინაღამ ქარიშხალმა წაიღო... ესეც ივანიშვილსა და ახალ ხელისუფლებას დავაბრალოთ?! აი, აქაც მთუმბრა ქარმა და ჭობია დავიბალოთ და დავუცადოთ გამოდარებას.

უზნელები უხასიათოდ ბრუნდებიან სახლებში.

ვილენ პარდალივიძე

მინჯარსიტყვა

დარიგება

ვანო ვინც დასახა ამ ქვეყნის ხერხემლად, ნაცების საყვირად გოკა ვინც აქცია – პოლიტიკოსების ცოტა კი აცხია, ტკუის დარიგებაც ახლა მას ენება: ჯერ თვითონ ინამოს, ჯერ თავად ისწავლოს, სხვებს მერე ასწავლოს კოპაბიტაცია... რამაზ ილიელი

ინფორმაცია

მერაბ ლოლოპარიძემ სოციალური სამსახურის უფროსს კარაგი აუჭადა

არბახამთაშრომლ ორგანიზაცია „კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელმა მერაბ ლოლოპარიძემ ხელვაჩაურის სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალის ხელმძღვანელს კაბინეტის კარები აუჭადა. როგორც ლოლოპარიძემ აღნიშნა, ამით მან ერთი წლის გოგია აბაშიძის გარდაცვალების ფაქტი გააპროტესტა. მისი თქმით, სააგენტო საკუთარი შეხედულებისამებრ ნიშნავდა სოციალურ დახმარებას. კარების აჭედვის შემდეგ ადგილზე სამართალდამცველები მივიდნენ.

პროტესტი

სოფელ კარბუხანში აქცია გააპროტესტ

სმაშრი იყო გუშინ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კარბუხანში. სტიქიით დაზარალებულმა მოსახლეობამ ადმინისტრაციულ შენობაში აქცია გამართა. მათი პრეტენზიები კომპენსაციის თანხის არათანაბარ გადანაწილებას ეხებოდა, რაშიც ზარალის დამთვლელი კომისიის წევრებს ადანაშაულებენ.

აქციის მონაწილეების თქმით, სტიქიის ზიანი არასწორედ არის აღწერილი, რის გამოც შესაბამისი თანხები ვერ დარიგდა. ადგილობრივები დამატებით სივრცეში შეყვანას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრებიან.

ლაგოდეხის საკრებულოს და კომისიის წევრის დავით ლომიძის განცხადებით, ზარალის დათვლის დროს დაშვებულ შეცდომებზე მოგვიანებით კომისიის წევრები ერთად იმსჯელებენ, შეისწავლიან და რეაგირებაც მოხდება. ამასთან, აქციის დროს დაპირისპირება მოხდა კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციის წევრ ლიკა კურტიანიძესა და ლაგოდეხის საკრებულოს წევრ დავით ლომიძეს შორის.

საქართველოს კრიტიკულ მდგომარეობათა და კატასტროფათა მედიცინის ასოციაცია, საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის შემოღობილის სამსახურის უფროსი, სრული პროფესორი ელგუჯა ლონდაძე და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. შვილი ნანული, შვილიშვილები მათა, ნინო ფარცვანიები, სიძეები ბაჩა ქურდიე, გიორგი ჩახავა, შვილთაშვილები სანდრი ქურდიე, ნიკუშა, ანუკა ჩახავები, მძახლები ივეტა მოისწრაფიშვილი, როენა ქურდიე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლუბა გულია-გოგია დაკრძალვა 30 III, 16 სთ. ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში.





გვერდი

ბიოლოგი-მედიკოსი... ბრაიან ჯ. ფორდი აცხადებს, რომ შექმნილი ადაპტირებული მისიონერების მიზნების დადგენა, რის შესახებ კოლეგებსა და საზოგადოებას სპეციალურად გამოცემა „მიკროსკოპში“, შემდგომ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში „ნიუ საიენსში“ შეატყობინა.

ვევათა სიმცირის გამო ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამს აზრს, რომ ფენომენის გამოკვლევა მიზნობრივად არანაკლებ იშვიათი სფეროსებრი ელვა, თუმცა კი ამ პიპოტუზამ მაინც დამაინც დიდი პოპულარობა ვერ ჰპოვა.

დღემდე საკმაოდ პოპულარულია ეგრეთ წოდებული „ფითილის, ანუ ცოცხალი სანთლის პიპოტუზა“, რომელიც ინგლისურ „მედიკალ-ლეგალ ჯორნელში“ ლონდონელმა ექიმმა ჰევიმ ტურსტონმა ჯერ კიდევ 1961 წელს წამოაყენა. მისი აზრით, ფითილი სამოსელიანი კაცი ხდება, ადამიანი იწვის, ამ დროს გამოვლენილი ცხიმი ცეცხლს ასაზრდოებს, სანამ მთლიანად არ დაიწვება. თუმცა კი, როგორც ექსპერტებმა ცხადჰყო, ამ დროს ლორის ნაწლავები იწვოდა, თუმცა კი დიდ ხანს – 12 საათს, თანაც ზედ შეზღუდული ნაჭრებიც ვერფლად იქცეოდა.

ადამიანთა თვითაალების მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული შემთხვევა 1951 წლის 1 ივლისს, ფლორიდის შტატის ქალაქ სანკტ-პეტერსბურგში მოხდა, როცა ქალბატონი მერი რიზერი სავარძელში თვლემდა. მოულოდნელად ქალს ცეცხლი

თვითაალების კოშმარი

წაეკიდა და 79 წლის მოხუცისგან მხოლოდ შავფეხსაცმელიანი ფეხი დაარჩა, დანარჩენი ყველაფერი დაიწვა, თავად სავარძელიც კი, თუმცა ცეცხლი იქვე არც გახუთებულა, ხოლო ქვეშე ჭკვარტლის ნასახიც ვერ ნახეს. კვამლის სუნიც ოდნავ შესამჩნევია იყო, არადა, როგორც შემდგომ სპეციალისტები ამბობდნენ, მსგავსი სიძლიერის ხანძარს მთელი სათავსო უნდა გაენადგურებინა.



მკვლევარ ბრაიან ფორდის აზრით, ორგანიზმში დაგროვილი სანჯავი სითხე, სხვა არაფერია თუ არა... აცეტონი. საქმე ისაა, რომ მეტაბოლიზმის პროცესში აცეტონის დაგროვება მაშინ ხდება, როცა სისხლში გლუკოზის შემცველობა იკლებს, რომელიც ორგანიზმში ენერჯის მთავარ წყაროს წარმოადგენს. მისი დეფიციტი ალტერნატიული მექანიზმების ჩართვას იწვევს, ცხიმოვანი უჯრედები იხლიჩება, ბიოლოგიურ-ქიმიურ რეაქციათა მთელი ჯაჭვი, რომლებზეც დეჰიდრაზაზის მსგავსი ენზიმები მუშაობს, რომ სისხლში განსაკუთრებული ნივთიერებები – კეტონები ჩნდება, რომლებიც გლუკოზის მაგივრად ენერჯის მატარებლები ხდებიან. აცეტონი კი კეტონების ერთ-ერთი ნაირსახეობაა, სწორედ მათი ჭარბი ოდენობა იწვევს ორგანიზმის თვითაალებას, ამბობს მეცნიერი, რომელმაც თავისი თეორია ცდებით დაადასტურა. ხოლო რაც შეეხება აალებისთვის საჭირო ნაპერწკალს, ფორდის აზრით, ამ როლს სტატიტიკური ელექტრობა ასრულებს, ამიტომ იგი სინთეტიკური სამოსელის ტარებისგან თავის შეკავებას გვირჩევს.

თვითაალების ბოლო დოკუმენტურად დადასტურებული შემთხვევა კი 2010 წლის 22 დეკემბერს ირლანდიაში მოხდა, როცა 76 წლის მაიკლ ფოგერტი დაინვა. ექსპერტები ერთი წლის მანძილზე უშედეგოდ ცდილობდნენ სიკვდილის მიზეზის დადგენას, ბოლოს კი „თვითაალების“ ვერდიქტი გამოიტანეს.

ირმა ირმაშვილი

წაეკიდა და 79 წლის მოხუცისგან მხოლოდ შავფეხსაცმელიანი ფეხი დაარჩა, დანარჩენი ყველაფერი დაიწვა, თავად სავარძელიც კი, თუმცა ცეცხლი იქვე არც გახუთებულა, ხოლო ქვეშე ჭკვარტლის ნასახიც ვერ ნახეს. კვამლის სუნიც ოდნავ შესამჩნევია იყო, არადა, როგორც შემდგომ სპეციალისტები ამბობდნენ, მსგავსი სიძლიერის ხანძარს მთელი სათავსო უნდა გაენადგურებინა. ამჟამად მერი რიზერის შემთხვევა იმ კოშმარული ფენომენის კლასიკურ გამოვლინებადაა მიჩნეული, რომელსაც ადამიანის სპონტანურ თვითაალებას უწოდებენ. იმაში, რომ ეს მოვლენა ფენომენია, მეცნიერთა უმრავლესობა მტკიცედ დადარწმუნებული. ფენომენისგან დასუსტებული რიცხვი დიდი არ არის – მთელ მსოფლიოში დოკუმენტურად დაფიქსირებული დასაბუთებული 120 შემთხვევაა, რაც ნამდვილად ცოტაა. სხვათა შორის, სწორედ შემთხვევათა სიმცირის გამო ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამს აზრს, რომ ფენომენის გამოკვლევა მიზნობრივად არანაკლებ იშვიათი სფეროსებრი ელვა, თუმცა კი ამ პიპოტუზამ მაინც დამაინც დიდი პოპულარობა ვერ ჰპოვა.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტი

ცოლ-ძმარი საწოლში წვანან. ქმარი ხელს მხრებზე უთათუნებს ცოლს, მერე მკერდამდე ჩამოდის. ქალი მძიმედ სუნთქავს. ქმრის ხელი უფრო ქვევით ჩაცურდება, მუცელს „აუთოვებს“. ქალი ლამის ცახცახებს და იზმორება. კაცის ხელი კი სულ უფრო „ქვეითდება“, უკვე თქოვებსაც ჩაცდა და... ქმარმა მკვეთრად მოაშორა ხელი მეუღლის სხეულს. - რა მოხდა? რატომ გაჩერდა? - განაწყნებულ-იმედგაცრუებული სმით ეკითხება ცოლი. - ვიპოვე ტელევიზორის პულტი და... \* \* \* - ოფიცინანტო, რა არის ეს? - ეკითხება

რესტორნის კლიენტი მიმტანს. - თქვენს მიერ შეკვეთილი შემწვარი წინილაა, ბატონო! - გადადებით თქვენს მზარეულს, ამ წინილას იმდენად აკლია მომზადება, რომ კარგი ვეტერინარი ჯერ კიდევ შეძლებდა მის გატოვსებას. \* \* \* ბარბაზაბა - ეს იგივე ნაძირალაა, ოღონდ უმაღლესი განათლებით. \* \* \* წარმოიღვინე, რომ შენი ექიმიც ისევე სწავლობდა, როგორც შენ... \* \* \* იძნებ ღირდეს, რომ წამლებს კოლოფზე ეწეროს - „ჩვენ ვრზუნავთ ჩვენს მოგებაზე თქვენი ჯანმრთელობის ხარჯზე“



ჩვენი პრესდაიჯესტი

დემურ დვალისვილის მიუღწევე და მდივანი 20-წლიან დუმილს არღვივინე



1994 წლის 9 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში გასროლის ხმა გაისმა. საზოგადოებას ამცნეს, რომ ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი დემურ დვალისვილი თავი მოიკლა. საგამოძიებო ორგანოების მიერ გავრცელებული ოფიციალური ვერსია მოგვიანებით საზოგადოების განსჯის საგანი გახდა. გამოითქვა ვეჭვები, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მოკლეს და ეს მკვლელობა იმ შავ სიას უკავშირდება, რომელიც დემურ დვალისვილს ჰქონდა. მართლა არსებობდა თუ არა შავი სია და რას უკავშირდება ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის მკვლელობა? დემურ დვალისვილის მეუღლე რუსუდან დვალისვილი და მდივანი რუსუდან გარდაფხაძე 20-წლიან დუმილს არღვივინე. „სასამლ-დსასპალი“

არჩილ კვიციანი შავ დღეში... საძარტველში მთავარმა პროკურორმა არჩილ კვიციანი ვერაფრით დააძინა თავი „მოჯადოებულ ნაციონალურ წრეს“. იმ ხალხს, რომელმაც ქვეყანა დააქცია და 9 წლის მანძილზე ხალხს ათასი უბედურება დამართა, პროკურატურის სამართლიანი და ყოველმხრივ გამყარებული ბრალდებების მიუხედავად, სააკაშვილის ზონდერ-მოსამართლეები საცხედრად ვერ იმეტებენ, გარეთ უშვებენ. ხალხი კი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს, დაკარგული ღირსების, ქონების აღდგენას ელის, დამნაშავეთა დასჯას ითხოვს, თუმცა, ჯერჯერობით, ბაჩო ახალაიას გარდა, არც ერთი ის „ნაციონალი“ არ არის დაჭერილი, რომელთაც ამ საქვეყნო უბედურებაში მთავარი წვლილი მიუძღვით. „ძრონია“

საძარტველში კიდევ 77 ათასი პაპი შიშველი... ბაქრაშვილი ბავშვთა ფონდის ინფორმაციით, საქართველოში თითქმის 77 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და დღემდე დაახლოებით მხოლოდ 2 ლარს მოიხმარს. ყოველწლიურად კი 5 წლამდე ასაკის თითქმის 300-მდე ბავშვი იღუპება ორსულთა ანემიის, დაბადებისას მცირეწონიანობის, ფოლიუმის მკვების ნაკლებობასთან ასოცირებული თანდაყოლილი ანომალიებისა და არასრულფასოვანი ძუძუთი კვების გამო. „რეზონანსი“

„საპარლამენტო უმრავლესობა“ უზუყე ლიდერებით არის სახსი... მიხარინა ეროვნული მოძრაობის წევრს მამუკა გიორგაძეს. იგი დამლუპველს უწოდებს იმ ტენდენციას, რომელიც რესპუბლიკელების მხრიდან დადგა და ჯავახეთში სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადებას გულისხმობს. გიორგაძის აზრით, ეს იქნება სეპარატიზმის წახალისება და საქართველოში ფედერალური ტერიტორიული მოწყობის დამკვიდრებისკენ გადადგმული ნაბიჯი. „ნაცმოძრაობის“ რეანიმირება თავიდან ბოლომდე „ოცნების“ კისერზეა. „ოცნებამ“ უნდა გაგვეცეს პასუხი, მის კომფორტულ ყოფას რატომ უნდა შეენიროს ქართული საზოგადოება“. - ამბობს გიორგაძე. „ახალი თაობა“

ფიქრობს, პრემიერი იზოლაციაში აყავით... ბოლო დროს გახშირდა პროტესტი იმის გამო, რომ ის ძალიან ვანები და პროკურორები, რომლებიც წინა ხელისუფლებაში საქმეებს იძიებდნენ, ისევ თანამდებობებზე არიან. ისინი შეგნებულად ბლოკავენ ინფორმაციებს, ცდილობენ პროვოკაციების მოწყობას და ამგვარი პროვოკაციებით ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციას. ექსპერტი კახა კახიშვილი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავები დროულად უნდა გამოფხიზლდნენ. პროკურატურიდან ინფორმაცია მოედინება და „ნაცმოძრაობის“ ოფისში მიდის. სამინისტროებს რეალურად მეორე და მესამე პირები განაგებენ. ვფიქრობ, პრემიერი იზოლაციაში აყავით. „კვირის პალიტრა“

კალრი



საქართველოს რესპუბლიკის რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები. გამომცემელი: შპს „თანამდებობა-1“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაკ) 070 4(479.22) ს-323 ISSN 2233-3651 მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგოლია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24